Enhancing Gender Equality in Georgia

გამოცემა მომზადდა პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს სააგენტოების: გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women); გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოში (UNFPA) მიერ. პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Sida).

ამ პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები და შეხედულებები არ წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women); გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ოფიციალურ პოზიციას.

შიდსი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2010 წლისთვის მსოფლიოში შიდსით ინფიცირებულთა რიცხვი 60 მილიონს აღემატებოდა.

შიდსით ინფიცირებულთა 70% ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლები არიან.

შიდსით დაიღუპა მსოფლიო მოსახლეობის 30 მილიონზე მეტი.

საქართველოში, 2012 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, რეგისტრირებულია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირების 3450 შემთხვევა, მათგან 2527 (73,2%) მამაკაცია და 923 (26,8%) ქალი, პაციენტთა უმრავლესობა 29-40 წლის ასაკობრივი კატეგორიისაა.

2012 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, საქართველოში შიდსი განუვითარდა 2259 (65,5%) პაციენტს, 757 (21,9%) გარდაიცვალა.

საქართველოში 2012 წელს გამოვლინდა აივ-ინფიცირების 335 ახალი შემთხვევა.

ართველოში აივ-ინფიცირებულთა 54,3% სანექციო ტიკული საშუალებით, 38,3% კი ჰეტეროსექსუალური კონტაქტით არის გადაცემული.

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ) არის ვირუსი, რომელიც იწვევს შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის (შიდსი) განვითარებას. მოხვდება თუ არა ადამიანის ორგანიზმში, აივ-ი აზიანებს იმუნური (თავდაცვითი) სისტემის უჯრედებს, რაც შედეგად იმუნოდეფიციტის განვითარებას იწვევს. დამცველი უჯრედების ნელ-ნელა განადგურების გამო, აივ-ით ინფიცირებულ ადამიანს დაავადების სიმპტომები შესაძლოა წლების მანძილზე არ გამოუვლინდეს. სავსებით შესაძლებელია, მას ჯანსაღი შესახედაობა ჰქონდეს, თავსაც სრულიად ჯანმრთელად გრძნობდეს და არცკი იცოდეს, რომ ინფიცირებულია, თუ არ გაიკეთებს სისხლის ანალიზს აივ-ის ანტისხეულების გამოსავლენად.

შიდსი აივ-ინფიცირების ბოლო სტადიაა, როდესაც იმუნურ სისტემას აღარ შეუძლია ბრძოლა ინფექციების და სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ. ხშირად სწორედ ეს დაავადებები ხდება ინფიცირებული ადამიანის სიკვდილის მიზეზი.

აივ-ი გადაეცემა:

- დაუცველი სქესობრივი კონტაქტით აივ-ინფიცირებულ პირთან, როგორც ჰომოსექსუალური, ისე ჰეტერო – ვაგინალური, ანალური, ორალური გზით;
- ნარკოტიკის ინტრავენური გამოყენებისას – აივ-ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპრიცის გაზიარებისას;
- ინფიცირებული სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით (მათ შორის ტატუირების ან ყურის გასახვრეტი ნემსის შეყვანა) – თუ გსურთ გაიკეთოთ ტატუ ან პირსინგი, შეარჩიეთ კარგი რეპუტაციის მქონე სალონი, კარგად გამოჰკითხეთ სტერილიზაციის პირობები;
- ინფიცირებული სისხლით – ინფიცირებული სისხლის ან მისი ცალკეული კომპონენტების გადასხმით;
- ინფიცირებული ადამიანის სისხლსა და ორგანიზმის სითხეებთან შემთხვევითი კონტაქტით (მაგალითად, საავადმყოფოს სამუშაო პირობებში);
- ინფიცირებული დედიდან ნაყოფზე ფეხმძიმობის, მშობიარობის ან ბავშვის ძუძუთი კვების დროს.

აივ-ი არ გადაეცემა

- აივ-ინფიცირებულთან ურთიერთობით საზოგადოებრივ თუ საყოფაცხოვრებო პირობებში;
- ხელის ჩამორთმევით, კოცნით;
- საერთო საკვების ან ჭურჭლის გამოყენებისას;
- პირადი ჰიგიენის ნივთების (პირსახოცი, ჭურჭელი, ა.შ.) და ტანსაცმლის მეშვეობით;
- აუზზე, აბანოსა და საუნაში;
- ჰაერით და საკვებით;
- მწერის ან შინაური ცხოველის ნაკბენით.

ასე რომ, თქვენ თავისუფლად და უშიშირად შეგიძლიათ მოეხვიოთ, აკოცოთ და შეეხოთ აივ-ინფიცირებულ ადამიანს და არ ინერვიულოთ იმაზე, რომ შემთხვევით თქვენც დაინფიცირდებით. ასევე არ არის საშიში საერთო ტუალეტით ან ტელეფონით სარგებლობა.

როგორ დავიცვათ თავი აივ-ინფიცირებისგან?

- თავი შეიკავეთ შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტისგან;
- მოერიდეთ სქესობრივი კავშირის დამყარებას ადრეულ ასაკში და ეცადეთ, არ იყოლიოთ სქესობრივი პარტნიორი ოჯახის შექმნამდე;
- იყოლიეთ მხოლოდ ერთი სქესობრივი პარტნიორი;
- ისარგებლეთ ლატექსის კონდომით (პრეზერვატივით) ყოველი სქესობრივი აქტის დროს და გამოიყენეთ ის სწორად აქტის დასაწყისიდან ბოლომდე – ეს ხელს შეუშლის თქვენს ორგანიზმში პარტნიორის სპერმის მოხვედრას, რომელშიც შესაძლოა აივ ვირუსი იყოს;
- უარი თქვით ნარკოტიკებზე;
- თუ ჯერ მზად არ ხართ იმისთვის, რომ თავი დაანებოთ ნარკოტიკების მოხმარებას და კვლავ მის მონობაში ცხოვრებას ამჯობინებთ, მაშინ ნუ გამოიყენებთ ნახმარ შპრიცს;
- არ ისარგებლოთ სხვის მიერ ნახმარი ჯაგრისით, საპარსით, სამართებლით;
- სტომატოლოგთან ვიზიტის დროს დარწმუნდით, კარგად არის თუ არა გასტერილებული ხელსაწყოები;
- მოერიდეთ სხვა ადამიანების სისხლთან კონტაქტს ნებისმიერ სიტუაციაში;
- ყველა ექიმი ვალდებულია, დაიცვას უსაფრთხოების ზომები, რათა თავი აარიდოს როგორც საკუთარი, ასევე პაციენტების შემთხვევით დაინფიცირებას;
- თუ მომავალმა დედამ იცის, რომ ის ინფიცირებულია, მას შეუძლია გააკეთოს სწორი არჩევანი, ჩაიტაროს მკურნალობა და უზრუნველყოს ბავშვის დაცვა აივ-ის გადაცემის თვალსაზრისით.

შიდსი – პრობლემა, რომელიც დღეს ყველას ეხება, მათ შორის შენც. შიდსის ვირუსი ადამიანებს არ ირჩევს სოციალური მდგომარეობის, ცხოვრების წესისა თუ ჩვევების მიხედვით, იგი ნებისმიერი ადამიანის ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს, სხვადასხვა გზით.

აივ-ი ყველგან შეიძლება იყოს, იგი შეიძლება აღმოჩნდეს შენს ქალაქშიც, შენ ირგვლივაც. უყურადღებობა და დაუფიქრებლობა ხშირ შემთხვევაში აივ-ით ინფიცირების მიზეზი ხდება. შენზეა დამოკიდებული, გახდები თუ არა შიდსის მსხვერპლი.